

## დანიშნულების შესტის მორფო-სემანტიკა ქართულ შესტურ ენაში

საკვანძო სიტყვები: დანიშნულება, კუთვნილება, აფიქსები ქართულ შესტურ ენაში, დერივაცია ქართულ შესტურ ენაში

### 1. შესავალი

ქართული შესტური ენის კვლევა შედარებით ახალი დაწყებულია. ამ დროისთვის, ცალკეული საკითხების შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების გარდა, არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი: ქართული შესტური ენის პირველი გრამატიკული წიგნი „ქართული შესტური ენა“ (მახარობლიძე 2012), „ქართული შესტური ენის ლექსიკონი“ (მახარობლიძე 2015) და „ქართული შესტური ენის ზმნის მორფოლოგია“ (მახარობლიძე 2019). ამის მიუხედავად, ცხადია, რომ შესასწავლი ჯერ კიდევ ბევრია.

ქართული შესტური ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ენობრივი მასალა იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ ენაში გამოვყოთ აფიქსური წარმოება. სტატიაში მსჯელობა შეეხება ერთი კონკრეტული აფიქსის მორფო-სემანტიკას – კერძოდ, ქართულ შესტურ ენაში არსებული ე. წ. „დანიშნულების“ შესტის მორფოსემანტიკურ ფუნქციებს. მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურას შესტურ ენებში აფიქსური წარმოების შესახებ და ქართულ შესტურ ენაში კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკის გამოხატვის საშუალებებს, ვიმსჯელებთ იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ქართულ შესტურ ენაში დანიშნულების შესტის მიჩნევა დერივაციულ აფიქსად.

სტატიის სტრუქტურა ასეთია: სტატიის პირველი ნაწილია შესავალი, სადაც გვაქვს ზოგადი მსჯელობა საკვლევე საკითხთან დაკავშირებით და აქვე მოცემულია სტატიის სტრუქტურაც. მეორე თავი

განიხილავს აფიქსებს ფესტურ ენებში, მესამე თავი – კუთვნილებით-დანიშნულებით სემანტიკას სამეტყველო ქართულ ენაში. მეოთხე თავში აღწერილია კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა ქართულ ფესტურ ენაში. სტატიის მეხუთე თავი სამნაწილიანია, პირველი ნაწილი განიხილავს დანიშნულების ფესტის პოზიციას, მეორე – ამ ფესტის მორფო-სემანტიკას, მესამე ნაწილში კი მოცემულია მსჯელობა ამ ფესტის აფიქსური ხასიათის შესახებ. სტატიის ბოლო, მეექვსე ნაწილია დასკვნა, რასაც მოჰყვება გამოყენებული ლიტერატურის სია.

## 2. აფიქსები ფესტურ ენებში

საერთოდ, როგორც სამეტყველო, ისე ფესტურ ენებში მორფოლოგიური პროცესები შეიძლება იყოს თანამიმდევრული (“sequential”) ან თანადროული (“simultaneous”) (Meir 2012, 81). მაგალითად, სამეტყველო ენაში ბრუნვის ნიშნის დართვა თანამიმდევრული მორფოლოგიური პროცესია, თანადროულ მორფოლოგიურ პროცესად კი მიჩნეულია არა სიტყვის ფუძეზე რაიმე ახალი ელემენტის დამატება, არამედ ცვლილება უკვე არსებულ ერთეულ(ებ)ში, მაგალითად, ინგლისურში სიტყვისგან “foot” (ტერფი) თანადროული მორფოლოგიური პროცესის შედეგად მიიღება მისი ფორმა მრავლობით რიცხვში – “feet” (ტერფები). ამის საპირისპიროდ, სიტყვა “leg” (ფეხი) დაირთავს -s სუფიქსს და ე.წ. თანამიმდევრული მორფოლოგიური პროცესის შედეგად მიიღება მისი შესაბამისი ფორმა მრავლობით რიცხვში: “legs” (ფეხები).

სამეტყველო ენებში მორფოლოგიური პროცესები უფრო ხშირად თანამიმდევრულია, ვიდრე თანადროული, ფესტურ ენებში კი პირიქით – უპირატესობა ენიჭება თანადროულ (სინერგიულ, პარალელურ) მორფოლოგიურ პროცესებს – ფესტის შესრულებას განსხვავებული დინამიკით (Meir 2012, 81), მაგალითად:

### სურათი 1



(მახარობლიძე 2019, 89)


მაგალითზე (იხ. სურათი 1) გამოსახულია ზმნა „თქმა“ პირთა სხვადასხვა კომბინაციით, კერძოდ, სუბიექტი სამივე შემთხვევაში მესამე

პირისაა, ხოლო ობიექტი იცვლება. თითოეული უესტი ერთმანეთისგან განსხვავდება ხელის მიმართულებით: პირველი ობიექტური პირის შემთხვევაში – სხეულისკენ, მეორე ობიექტური პირის შემთხვევაში – წინ, მესამე ობიექტური პირისთვის კი – გვერდით. სწორედ უესტის დინამიკის ამგვარი ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს უესტურ ენებში თანადროული მორფოლოგიური პროცესის მაგალითად.

რაც შეეხება აფიქსურ წარმოებას, მართალია, იშვიათად, მაგრამ იგი მაინც დასტურდება სხვადასხვა უესტურ ენაში (Meir 2012, 82). მაგალითად:

## სურათი 2

### კაცმა



კაცი

ერგაცივის ნიშანი

(მახარობლიძე 2015, 61; 2019, 54)

მაგალითზე (იხ. სურათი 2) წარმოდგენილი ორი უესტი – სიტყვა-უესტი „კაცი“ და სუფიქსი „ერგაცივის ნიშანი“ ერთად გვაძლევს „კაცის“ მოთხრობითი ბრუნვის ფორმას „კაცმა“. ეს ბრუნვა სამეტყველო ქართული ენის გავლენითაა გაჩენილი ქართულ უესტურ ენაში, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აქ ადგილი აქვს სრულიად განსხვავებულ მორფო-სემანტიკას. კერძოდ, სამეტყველო ქართულისგან განსხვავებით, აღნიშნული ბრუნვა ქართულ უესტურ ენაში მხოლოდ ადამიანის კლასის სახელებს შეიძლება ჰქონდეთ.

უესტურ ენებში აფიქსაციის, როგორც თანამიმდევრული მორფოლოგიური პროცესის, მახასიათებლებს სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად აყალიბებს, მაგალითად, მეირის მიხედვით აფიქსურ წარმოებას აქვს შემდეგი თვისებები:

ა. ძირითად უესტს ემატება დამატებითი ფონოლოგიური ერთეული. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითის შემთხვევაში ძირითად

თად შესტს „კაცი“ დაემატა დამატებითი ერთეული – სუფიქსი „ერგატივის ნიშანი“:

ბ. სუფიქსს ახასიათებს გრამატიკალიზაცია, ანუ იგი ერთ დროს ლექსიკური ერთეული იყო, ახლა კი დელექსიკალიზებულია. შესტურ ენებში გრამატიკალიზაციის პროცესი სამეტყველო ენების მსგავსად მიმდინარეობს. გრამატიკალიზაციის პროცესი როგორც სამეტყველო, ისე შესტურ ენებში დეტალურად არის შესწავლილი არაერთი ავტორის მიერ (Haspelmath 2004, 17–44; Hopper 1991, 149–187; Bybee 2003, 146; Janzen 2012, 816–841 და სხვ.). შესტურ ენაში გრამატიკალიზაციის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ქართულ შესტურ ენაში სუფიქსი „ერგატივის ნიშანი“ მიღებულია ლექსიკური ერთეულისგან – შესტისგან „ადამიანი“:

გ. შესტურ ენებში აფიქსებს აქვთ მხოლოდ დერივაციული ფუნქცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ შესტურ ენას აქვს ფლექსიური მორფემებიც. (მახარობლიძე 2012, 234–243)

დ. სუფიქსის ფონოლოგიური მახასიათებლები, როგორც წესი, არ არის განპირობებული (მოტივირებული) რაიმე კონკრეტული კანონზომიერებით;

ე. როგორც უკვე აღინიშნა, აფიქსური წარმოება შესტურ ენებში ნაკლებად გავრცელებულია. (Meir 2012, 83)

კიდევ უფრო მარტივი განმარტების მიხედვით, აფიქსია მორფემა, რომელიც გვხვდება ენის მრავალ ლექსიკურ ერთეულში, მაგრამ არ გვხვდება დამოუკიდებლად (Meir 2012, 103).

არსებობს მოსაზრება, რომ შესტურ ენებში აფიქსის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მიმიკას (Janzen 2012, 827; Wilcox 2004, 119–147). აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ისეთი მიმიკა, რომელიც სიტყვას მნიშვნელობას უცვლის. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ არ შევეხებით მიმიკურ აფიქსებს. ზოგადად, ქართული შესტური ენა ე. წ. მანუალ-დომინანტურია, ანუ ამ ენაში ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიები მანუალური შესტებია.

მორფოლოგიურ აფიქსად შესტის მიჩნევისთვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

1. შესტი უნდა იყოს დელექსიკალიზებული და, შესაბამისად, გრამატიკალიზებული, ანუ მას დაკარგული ან გაბუნდოვნებული უნდა ჰქონდეს პირველადი ლექსიკური მნიშვნელობა;
2. შესტი უნდა იყოს ეროზირებული, ანუ მოსალოდნელია ცვლილება მისი შესრულების დინამიკაში, ან შესაძლოა, ორხელიანი შესტი იქცეს ერთხელიანად;
3. მორფემას უნდა ჰქონდეს მკვიდრი ადგილი. ეს ნიშნავს, რომ მორფემა, რომელიც ხან შესტის წინ გვხვდება, ხან შეს-

ტის შემდეგ, ვერ იქნება მორფოლოგიური აფიქსი;

4. აუცილებელია მორფოსემანტიკური ნიშნის არსებობა, რაც ნიშნავს, რომ ამ აფიქსის დართვა სხვადასხვა უესტზე განაპირობებს კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობის შექმნას. (მახარობლიძე 2019, 8)

წარმოდგენილი პარამეტრების მიხედვით სტატიის ბოლოს ვიმსჯელებთ, შეიძლება თუ არა ქართულ უესტურ ენაში დანიშნულების უესტის მიჩნევა მორფოლოგიურ აფიქსად.

### 3. კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა სამეტყველო ქართულში

„დესტინაცია, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, აისახება ბრუნვისა და უღლების სისტემებში, ზმნის ფორმებში, სახელთა დერივაციასა და თანდებულებში“ (მახარობლიძე 90, 2005). ჩვენთვის მნიშვნელოვანია დესტინაციის გაგება, როგორც დანიშნულებისა (მაგალითად, „საახალწლო“ – ახალი წლისთვის დანიშნული, განკუთვნილი) და არა მისი მეორე გაგება – ლოკაციურობა (მაგალითად, „დანიშნულების ადგილზე მივიდა“). სამეტყველო ქართულში გვაქვს სახელური და ზმნური დესტინაციის შემთხვევები. სახელებთან გვხვდება ფლექსიური ტიპის დესტინაცია: მაგალითად, გარკვეულ ბრუნვათა სემანტიკური ჩარჩოები (მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებითი), თანდებული „-თვის“ (დიალექტური ვარიაციებით). ასევე გვაქვს დერივაციული ტიპის სახელური დესტინაცია, რომელიც „მკვეთრადაა გამოხატული სახელთა წარმოქმნაში დანიშნულებითობის მაწარმოებელი სისტემით: „სა-ე“, „სა-ო“, „სა-ეთ“, „სა-ურ“ ცირკუმფიქსებით, -ად სუფიქსით და ა. შ. [...] რიგი აფიქსები უფრო მკვეთრად გადმოსცემენ დესტინაციას სხვებთან შედარებით; მაგალითად, ცირკუმფიქსები „სა-ე“ და „სა-ო“ საკმაოდ მკაფიოდ მიუთითებს დესტინაციის სემანტიკაზე, „სა-ეთ“ და „სა-ურ“ კი შედარებით სუსტად გადმოსცემს ამ შინაარსს“ (მახარობლიძე 2005, 90–91). მაგალითად, „საახალწლო“, რომელშიც გამოყენებულია ცირკუმფიქსი „სა-ო“ გაცილებით მკვეთრად გამოხატავს დესტინაციურ შინაარსს, ვიდრე „საგანძური“, რომელიც წარმოებულია ცირკუმფიქსით „სა-ურ“, თუმცა ყველა ზემოხსენებული ცირკუმფიქსი სიტყვას სძენს დესტინაციურ შინაარსს ნიუანსური განსხვავებებით.

#### 4. კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა ქართულ ჟესტურ ენაში

ქართულ ჟესტურ ენაში ჯერ კიდევ შესასწავლ საკითხთაგან ერთ-ერთი სწორედ კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსი და მისი მორფოსემანტიკური რეფერირებაა. თუ ქართულ სამეტყველო ენაში კუთვნილებით-დანიშნულებით სემანტიკას ძირითადად „სა-ო“, „სა-ე“, „სა-ეთ“ და „სა-ურ“ ცირკუმფიქსები გამოხატავენ, ქართული ჟესტური ენა პირდაპირ არ იმეორებს კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის სამეტყველო ქართულში არსებულ მოდელს. ამ ფუნქციით ქართულ ჟესტურ ენაში ხშირად გამოიყენება სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ და ამას მოწმობს „ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი“ (მახარობლიძე 2015).


#### სურათი 3 სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“



(მახარობლიძე 2015)

მაგალითად:

**სურათი 4**  
**ორნაწილიანი შესტი „საწერი“**



წერა

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 1005)

„ქართული შესტური ენის ლექსიკონის“ (მახარობლიძე 2015) მიხედვით, შესტი „საწერი“ შედგება ორი ნაწილისგან – „წერა“ და „დანიშნულება“ (იხ. სურათი 4). თუ ამ სიტყვას კომპოზიტურ მოცემულობად არ გავიაზრებთ, მისი ეს უკანასკნელი ნაწილი შეგვიძლია მივიჩნიოთ დესტინაციურ აფიქსად.

ჩნდება კითხვა – რამდენად დასაშვებია ამ შესტის („დანიშნულება“) აფიქსად მიჩნევა? ან ზუსტად რა მორფოსემანტიკური ფუნქცია/ფუნქციები აქვს მას? აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია ქართული შესტური ენის ლინგვისტური ანალიზისთვის.

წინამდებარე კვლევა დიდწილად ეყრდნობა „ქართული შესტური ენის ლექსიკონის“ (მახარობლიძე 2015), რომელიც გამოყენებულია კვლევების საჭირო ლექსიკური ერთეულების წყაროდ. ლექსიკონში მოცემული 4 000 ერთეულიდან 87 ლექსიკური ერთეული შეიცავს სიტყვა-შესტ „დანიშნულებას“. ეს კი ლექსიკონის არც თუ ისე მცირე წილს (2%-ზე მეტს) შეადგენს.

## 5. დანიშნულების შესტი ქართულ შესტურ ენაში


### 5.1 დანიშნულების შესტის პოზიცია

თავდაპირველად გავარკვიოთ დანიშნულების შესტის პოზიცია. შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში (გაანალიზებული 91 სალექსიკონო ერთეულიდან 89 შემთხვევაში) იგი გვხვდება შესტის შე-



მადგენელი ნაწილების ბოლო პოზიციაზე; როგორც წესი, დაერთვის იმ სიტყვა-ფესტს, რომელმაც უნდა შეიძინოს კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსი. დანიშნულების ფესტი შუაში შეიძლება მოექცეს მხოლოდ კომპოზიტების შემთხვევაში, როდესაც ის კომპოზიტში შემავალი პირველი სიტყვის ბოლო პოზიციაზეა, როგორც მორფემული ნაწილი, მაგალითად:

**სურათი 5**  
**რთული ფესტი „რედაქცია“**



(მახარობლიძე 2015, 924)

როგორც მაგალითზე (იხ. სურათი 5) ვხედავთ, სიტყვა რედაქცია კომპოზიტურია და შედგება ფესტებისგან „(და)საწერი“ და „გაგზავნა“. ამ შემთხვევაში ფესტი „დანიშნულება“ სიტყვა „(და)საწერის“ მორფემული ნაწილია, რის გამოც იგი ორი სიტყვისგან („(და)საწერი“ და „გაგზავნა“) შემდგარი კომპოზიტის („რედაქცია“) შუაში მოექცა. შესაბამისად, შეიძლება მყარად ითქვას, რომ მას აქვს ფიქსირებული ადგილი – აუცილებლად მოსდევს ზუსტად იმ სიტყვას, რომელმაც უნდა შეიძინოს კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსი.

**5.2. დანიშნულების ფესტის მორფო-სემანტიკა**

დანიშნულებითი აფიქსის მიერ წარმოებული სიტყვები, ვფიქრობთ, რომ შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ა. არსებითი სახელისგან წარმოებული ზედსართავი სახელები – „საბრძოლო“, „სანატრელი“, „აზიური“, „პრობლემური“, „ფსიქიკური“ და სხვ. (აფიქსის გამოყენების შემთხვევების 47%).



### სურათი 6

#### საბრძოლო



ომი

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 947)

წარმოდგენილ მაგალითზე (იხ. სურათი 6) ძირითად უესტს „ომი“ ერთვის უესტი „დანიშნულება“ და მიღებულია „საბრძოლო“. ამ შემთხვევაში „ომი“ და „ბრძოლა“ გაიგივებულია და შეიძლება ითქვას, რომ არსებითი სახელისგან („ომი“) მიღებულია ზედსართავი სახელი („საბრძოლო“).

### სურათი 7

#### სამედიცინო



ექიმი


დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 947)

მსგავსია კიდევ არაერთი სიტყვა-ჟესტის წარმოება, მაგალითად, „სამედიცინო“ (იხ. სურათი 7). ძირითად ჟესტს „ექიმი“ ერთვის ჟესტი „დანიშნულება“ და მიღებულია ზედსართავი სახელი „სამედიცინო“.

ზოგჯერ დანიშნულების ჟესტი აწარმოებს სამეტყველო ქართულში არსებული პოლიფუნქციური „-ურ“ სუფიქსის მქონე ზედსართავი სახელების ნაწილსაც (მაგალითად, „აზიური“, „პრობლემური“, „ფსიქიკური“ და სხვ.). აქ იგულისხმება არა „სა-ურ“ ცირკუმფიქსით წარმოებული სახელები, არამედ მხოლოდ „-ურ“ სუფიქსით წარმოებული ზედსართავი სახელები.

### სურათი 8 პრობლემური




პრობლემა

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 901)

მაგალითზე (იხ. სურათი 8) ჯერ გამოსახულია სიტყვა „პრობლემა“; ბოლოს – ჟესტი „დანიშნულება“; ხოლო ჯამში მიღებულია სიტყვა – „პრობლემური“. აღსანიშნავია, რომ წარმომავლობის მაწარმოებელი აფიქსები თავიანთი სემანტიკით სამეტყველო ქართულშიც ახლოს დგას დანიშნულებითობასთან, მაგალითად, „პოლიტიკური“ – პოლიტიკისთვის დანიშნული – პოლიტიკასთან დაკავშირებული (იხ. სურათი 9).

## სურათი 9 პოლიტიკური



პოლიტიკა დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 895)

ბ. არსებითი სახელისგან წარმოებული სხვა არსებითი სახელები, მაგალითად, „სააგენტო“, „საკონსულო“, „გამანადგურებელი“ და სხვ. (აფიქსის გამოყენების შემთხვევების 41%).

## სურათი 10 სააგენტო



აგენტი დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 944)

წარმოდგენილ მაგალითში (იხ. სურათი 10) სიტყვა-ჟესტ „აგენტს“ დაემატა ჟესტი „დანიშნულება“ და მიღებულია დანიშნულებითი შინაარსის სიტყვა „სააგენტო“.

სურათი 11

საკონსულო



კონსული


დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 966)

მოცემულ მაგალითში (იხ. სურათი 11) სიტყვა-ჟესტ „კონსულს“ დაემატა ჟესტი „დანიშნულება“ და აქაც მიღებულია დანიშნულებითი სემანტიკის მქონე სიტყვა „საკონსულო“.

სურათი 12

გამანადგურებელი



აფეთქება დანიშნულება


(მახარობლიძე 2015, 243)

წარმოდგენილ მაგალითში (იხ. სურათი 12) სიტყვა-უესტ „აფეთქებას“ დაემატა უესტი „დანიშნულება“ და მიღებულია სიტყვა „გამანადგურებელი“ – აფეთქებისთვის, განადგურებისთვის დანიშნული.

გ. ზედსართავი სახელისგან წარმოებული სახელები, მაგალითად, „სილამაზე“, „სიდიდე“, „სივიწროვე“ (აფიქსის გამოყენების შემთხვევების მხოლოდ 12%). ზოგადად, ზედსართავი სახელისგან აბსტრაქტული სახელების წარმოება არაერთ ენაშია შენიშნული.

### სურათი 13

#### სილამაზე



ლამაზი დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 1024)

მოცემული მაგალითის (იხ. სურათი 13) მიხედვით, ძირითად სიტყვა-უესტს „ლამაზი“ ემატება უესტი „დანიშნულება“ და მიიღება აბსტრაქტული არსებითი სახელი „სილამაზე“. მსგავსად იწარმოება ამ ჯგუფის სხვა აბსტრაქტული სახელებიც, მაგალითად, „სივიწროვე“ (იხ. სურათი 14).

### სურათი 14

#### სივიწროვე



ვიწრო

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 1022)

თვალსაჩინო ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, სამეტყველო ქართულში ცირკუმფიქს „სი-ე“ სემანტიკური კავშირი არ აქვს არსებულ კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის მქონე ცირკუმფიქსებთან („სა-ე“, „სა-ო“...). თუმცა საინტერესოა ის გარემოება, რომ იქ, სადაც სამეტყველო ქართულში გამოყენებულია ცირკუმფიქსი „სი-ე“, შესტურში ხშირად გამოყენებულია დანიშნულების შესტი. ეს განპირობებულია როგორც სამეტყველო ქართულის გავლენით („სი-ე“ აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი ცირკუმფიქსისა და კუთვნილებით-დანიშნულებითი ცირკუმფიქსების ფონეტიკური მსგავსებით), ისე ქართულ შესტურ ენაში მორფემების ნაკლებობით. ქართულ შესტურ ენაში საკმაოდ ხშირია ერთი მორფემის გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით. სამეტყველო ქართულ ენაში კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის გამოხატვისას სხვადასხვა აფიქსების გამოყენებით ნიუანსური განსხვავებების არსებობა უცხოა ქართული შესტური ენისთვის და ყველა მსგავს შემთხვევაში დანიშნულების შესტი გამოიყენება. წარმოდგენილი ჯგუფების ანალიზის საფუძველზე კი იკვეთება, რომ იგივე შესტი გამოყენებულია სხვა მნიშვნელობებითაც. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მხრივ ქართული შესტური ენა არ იმეორებს სამეტყველო ქართულის მოდელს.

წარმოდგენილი სამი ჯგუფიდან უკანასკნელი (ზედსართავი სახელისგან წარმოებული სახელები) ყველაზე მცირეა, დანარჩენი ორი კი საკმაოდ დიდი. აღსანიშნავია, რომ ორივე დიდ ჯგუფში მკვეთრად ქარბობს დანიშნულებითი შინაარსის მქონე ზედსართავი თუ არსებითი სახელები. ჯგუფებს შორის სიხშირეების განაწილება წარმოდგენილია ცხრილში (იხ. სურათი 15).

სურათი 15

ჯგუფი	ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	სიხშირე
არსებითი სახელისაგან წარმოებული ზედსართავი სახელი	41	47%
არსებითი სახელისაგან წარმოებული სხვა არსებით სახელები	36	41%
ზედსართავი სახელისაგან წარმოებული სახელები	10	12%

ცხრილი შედგენილია სალექსიკონო ერთეულების რაოდენობრივი ანალიზის შედეგად და არ ასახავს საუბრის დროს გამოყენების სინშირეს, რომელიც მომავალში შესაძლებელია დადგინდეს კორპუსული კვლევებით.

ჯგუფების მიხედვით შესტის დინამიკაში (როგორც შესტის ფონოლოგიურ მახასიათებელში) არ შეინიშნება არანაირი განსხვავება. დანიშნულების შესტის დინამიკა ყოველთვის ერთნაირია, თუმცა ენის ეკონომიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ზოგჯერ ეს შესტი საერთოდ გამოტოვებულია და შინაარსს ცხადყოფს კონტექსტი. ზოგჯერ მეტყველების დროს შესტი „დანიშნულება“ მცდარი ლოგიკით ჩანაცვლებულია შესტით „მრავალფეროვნება“. ასეთი ჩანაცვლება ვერ იქნება გამართლებული, რადგან ამ აფიქსებს აქვთ სხვადასხვა ფუნქცია.

### 5.3 დანიშნულების შესტის აფიქსური ხასიათი

სტატიის დასაწყისში, მეორე თავში („აფიქსები შესტურ ენებში“), წარმოდგენილია ძირითადი ლიტერატურა, რომელიც დაგვეხმარება დავადგინოთ:

– შეგვიძლია თუ არა ქართულ შესტურ ენაში არსებული შესტი „დანიშნულება“ მივიჩნიოთ მორფოლოგიურ დერივაციულ აფიქსად და ვუწოდოთ მას დანიშნულებითი აფიქსი. ცხადია, ამ სიტყვას შეუნარჩუნდება დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობაც კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც იგი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული.

– განვიხილოთ დანიშნულების შესტი მეირის მიერ შესტური ენებისთვის ჩამოყალიბებული აფიქსური წარმოების თვისებების მიხედვით (Meir 2012, 83):

#### ა. ძირითად შესტს ემატება დამატებითი ფონოლოგიური ერთეული.

შესტი „დანიშნულება“ სწორედ ძირითად შესტს ემატება დამატებითი ფონოლოგიური ერთეულად, ისე როგორც ზემოთ განხილული მაგალითის შემთხვევაში ძირითად შესტს „კაცი“ დაემატა დამატებითი ერთეული – სუფიქსი „ერგატივის ნიშანი“. ამის მაგალითია ნებისმიერი ზემოთ განხილული შემთხვევა, მაგალითად, სურათი 10. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ძირითად სიტყვა-შესტს „აგენტი“ დამატებული აქვს დამატებითი ფონოლოგიური ერთეული – შესტი „დანიშნულება“. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ დანიშნულების შესტი აკმაყოფილებს პირველ მახასიათებელს და განვიხილოთ მომდევნო თვისებები.



**ბ. სუფიქსს ახასიათებს გრამატიკალიზაცია, ანუ იგი ერთ დროს ლექსიკური ერთეული იყო, ახლა კი დელექსიკალიზებულია.**

დანიშნულების შესტი, პირველი კრიტერიუმის მსგავსად, ამ კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს, რადგან მიღებულია ლექსიკური ერთეულისგან „დანიშნულება“ და ადგილი აქვს ამ შესტის დელექსიკალიზაციას. ისევე, როგორც ქართული შესტური ენის სხვა ზემოთ განხილული სუფიქსი „ერგატივის ნიშანი“ მიღებულია ლექსიკური ერთეულისგან – შესტისგან „ადამიანი“.

**გ. შესტურ ენებში აფიქსებს აქვთ მხოლოდ დერივაციული ფუნქცია.**

თუ დანიშნულების შესტს აფიქსად განვიხილავთ, იგი ცალსახად დერივაციული აფიქსია, რადგან სიტყვას მხოლოდ კი არ მიმოხრის, არამედ მნიშვნელობას უცვლის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ შესტურ ენას აქვს ფლექსიური მორფემებიც (მახარობლიძე 2012, 234–243).

**დ. სუფიქსის ფონოლოგიური მახასიათებლები, როგორც წესი, არ არის განპირობებული (მოტივირებული) რაიმე კონკრეტული კანონზომიერებით.**

დანიშნულების შესტი აკმაყოფილებს ამ მეოთხე კრიტერიუმსაც, იგი არ არის იკონური შესტი, ანუ არ გადმოსცემს რაიმე საგნის ან მოქმედების ხატებას.

**ე. როგორც უკვე აღინიშნა, აფიქსური წარმოება შესტურ ენებში ნაკლებად გავრცელებულია.**

ვინაიდან ეს მეხუთე მახასიათებელი ზოგადად შესტური ენებისთვისაა მოცემული, მეირის მიხედვით, ამ საკითხზე აქ არ ვიმსჯელებთ.

ვინაიდან დანიშნულების შესტი აკმაყოფილებს მეირის მიერ წარმოდგენილ ყველა კრიტერიუმს, განვიხილოთ ეს შესტი სხვა პარამეტრების (მახარობლიძე 2019, 8) მიხედვითაც:

**ა. შესტი უნდა იყოს დელექსიკალიზებული და, შესაბამისად, გრამატიკალიზებული, ანუ მას დაკარგული ან გაბუნდოვნებული უნდა ჰქონდეს პირველადი ლექსიკური მნიშვნელობა.**

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, დანიშნულების შესტი დე-ლექსიკალიზებულია და მიღებულია ლექსიკური ერთეულისგან „დანიშნულება“.

**ბ. შესტი უნდა იყოს ეროზირებული, ანუ მოსალოდნელია ცვლილება მისი შესრულების დინამიკაში, ან შესაძლოა ორხელიანი შესტი იქცეს ერთხელიანად.**

„დანიშნულების“ შესტის შემთხვევაში შეინიშნება ეროზიის ტენდენცია, თუმცა ეროზიის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია.

**გ. მორფემას უნდა ჰქონდეს მკვიდრი ადგილი. ეს ნიშნავს, რომ მორფემა, რომელიც ხან შესტის წინ გვხვდება, ხან შესტის შემდეგ, ვერ იქნება მორფოლოგიური სუფიქსი.**

დანიშნულების შესტი ამ კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს, რადგან მისი ადგილი ცალსახად ფიქსირებულია; იგი ყოველთვის მოსდევს ძირითად შესტს. დანიშნულების შესტის ადგილი დაწვრილებით უკვე განხილულია ზემოთ (თავში „დანიშნულების შესტის პოზიცია“).

**დ. აუცილებელია მორფოსემანტიკური ნიშნის არსებობა, რაც ნიშნავს, რომ ამ აფიქსის დართვა სხვადასხვა შესტზე განაპირობებს კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობის შექმნას.**

დანიშნულების შესტს აქვს რამდენიმე მორფოსემანტიკური ნიშანი, რომელთაგანაც ყველაზე მკვეთრად გამოხატულია სიტყვისთვის დანიშნულებითობის შინაარსის შექმნა, რის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ (თავი 5.2).

## დასკვნა

წინა თავში („დანიშნულების შესტის აფიქსური ხასიათი“) წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ დანიშნულების შესტი სრულად ან ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს, რათა იგი მივიჩნიოთ აფიქსად. ქართული შესტური ენის მასალა იძლევა საკმარის საფუძველს, რომ შემდგომში იგი განვიხილოთ დერივაციულ აფიქსად და ვუწოდოთ დანიშნულებითობის აფიქსი. მისი ძირითადი მორფოსემანტიკური ფუნქციაა დანიშნულებითი შინაარსის მქონე ზედსართავი თუ არსებითი სახელების წარმოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული შესტური ენა ჩამოყალიბების ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია, ამიტომ მომავალი გვიჩვენებს, როგორ ჩამოყალიბდება დანიშნულებითი აფიქსი მორფოსემანტიკური თვალსაზრისით და როგორ განვითარდება ამ შესტის გრამატიკალიზაციისა და ეროზიის პროცესი.

## დამოწმებანი

- მახაროზლიძე, თამარ. 2012. *ქართული ფესტური ენა*. თბილისი.
- მახაროზლიძე, თამარ. 2019. *ქართული ფესტური ენის ზმნის მორფოლოგია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მახაროზლიძე, თამარ. 2015. *ქართული ფესტური ენის ლექსიკონი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მახაროზლიძე, თამარ. 2005. *დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია (ქართული და ბასკური ენების მასალა)*. თბილისი: ნეკერი.
- Bybee, Joan. 2003. Cognitive Processes in Grammaticalization. In *Cognitive and Functional Approaches to Language Structure*. Vol. 2 of *The New Psychology of Language*, ed. Michael Tomasello, 145-167. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.
- Haspelmath, Martin. 2004. On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. In *Up and down the Cline 2: The Nature of Grammaticalization*, eds. Olga Fischer, Muriel Norde and Harry Perridon, 17-44. Amsterdam: Benjamins.
- Hopper, Paul. 1991. On Some Principles of Grammaticization. In *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*, eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine, 149-187. Amsterdam: Benjamins.
- Janzen, Terry. 2012. Lexicalization and Grammaticalization. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 816-841. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Meir, Irit. 2012. Word Classes and Word Formation. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 77-112. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Wilcox, Sherman. 2007. Routes from Gesture to Language. In *Verbal and Signed Languages: Comparing Structures, Constructs and Methodologies*, eds. Elena Pizzuto, Paola Pietrandrea and Raffaele Simone, 107-131. Berlin: Mouton de Gruyter.

**Tamar Makharoblidze**

**Tamar Archvadze**

*Ilia State University*

## **On Morphosemantics of the Destination Sign in GESL**

Keywords: *destination, possession, purpose, affixes in GESL, derivation in GESL*

### **1. Introduction**

It is only fairly recently that research in Georgian sign language (GESL) began. A number of fundamental pieces of research have already been published, among which is “Georgian Sign Language” (Makharoblidze 2012) – the very first grammar book of GESL, “Georgian Sign Language Dictionary” (Makharoblidze 2015), “GESL Verbal Morphology” (Makharoblidze 2019), and a selection of academic articles focused on related issues. Yet, despite these publications, there is a lot more to study.

According to scientific and language studies, literature, and accumulated data, affixation (a type of word formation) can be seen in GESL. The morphosemantics of the Destination Sign (an affix found in GESL) will be discussed in this paper. This article includes a review of the scientific literature on affixation in sign languages (SL), the ways to express possessive-destination-purpose semantics in GESL, and a discussion about the Destination Sign (DS) – whether it can be considered as a derivational affix or not.

The structure of the article is as follows: Chapter 1 is an Introduction, in which a general discussion about the research topic and the article structure is provided; Chapter 2 is a brief review of affixes in sign language; Chapter 3 is about possessive-destination-purpose semantics in spoken Georgian; Chapter 4 presents a description of the possessive-destination-purpose semantics in GESL; Chapter 5 consists of three sub-chapters: 5.1. The position of the ‘Destination Sign’ (DS), 5.2. DS Morphosemantics, 5.3. Features of DS affixation, and; Chapter 6 offers a conclusion followed by the bibliography.

## 2. Affixes in sign languages

In general, morphological processes in spoken or sign languages are either sequential or simultaneous. For example, use of case markers in spoken languages is a sequential morphological operation, but “in a simultaneous morphological operation, meaningful units are added not by attaching segments but rather by changing them.” For example, in English, the plural ‘feet’ is inflected according to simultaneous morphological operation from its singular form ‘foot’. To the contrary, adding ‘-s’ to ‘leg’ to make its plural form is a sequential morphological operation (Meir 2012, 81).

Figure 1



(Makharoblidze 2019, 89)


Spoken languages show a preference towards sequential processes, but sign languages show a preference for simultaneous morphological operations, e.g. “a change in the movement pattern of a sign” (Meir 2012, 81). For example:

Forms of the verb SAY, with the same subject but a different object, are shown in Figure 1. Each sign is different in terms of hand orientation: to the body for the first-person object, to the front for the second-person object, and to the side for the third-person object. The difference in such hand orientation might be a relevant example of simultaneous morphological operation.

Affixation is uncommon in sign languages, but still exists (Meir 2021, 82). For example:

**Figure 2**

MAN-ERG



MAN

ERGATIVE CASE MARKER

(Makharoblidze 2015, 61; 2019, 54)

Two signs are shown in Figure 2: MAN and ERGATIVE - together considered as the ergative form for the word MAN. Ergative existence in GESL is a result of Spoken Georgian. However, one aspect needs to be highlighted: unlike Spoken Georgian, in GESL, ergative forms exist only for human class nouns.

The feature list of affixation (a sequential morphological operation) in sign languages varies according to scientist, for example, Meir considers the following features:

- a. An additional phonological item is added to the main sign. According to the example above, an additional item, the suffix ERGATIVE, is added to the main sign MAN.
- b. Grammaticalization of suffixes, which means they were considered as lexical units before and when they are delexicalized. For example, the suffix ERGATIVE in GESL comes from the lexical unit HUMAN. As shown, the process of grammaticalization in sign languages is similar to the same process in spoken languages. Grammaticalization is widely discussed in spoken and sign languages by various authors. (Haspelmath 2004, 17–44; Hopper 1991, 149–187; Bybee 2003, 146; Janzen 2012, 816–841, and others)
- c. Affixes in sign languages are characterized by derivational functions only. However, GESL also shows inflectional morphemes. (Makharoblidze 2012, 234–243)
- d. Normally, phonological features of the suffix are not motivated by any specifications.

- e. Affixation in sign languages is uncommon, as mentioned above. (Meir 2012, 83)

According to a simpler definition, an affix is “a morpheme that recurs in many lexical items” and “does not appear as a free form” (Meir 2012, 103).

Some scientists argue that facial expression might be an affix in sign language (Janzen 2012, 827; Wilcox 2004, 119–147). It is obvious that in these cases, facial expression should cause a change in meaning. A discussion about mimic components will not be provided in this article, however, as GESL is mostly a manual-dominant language, which means that all the basic lexical-grammatical categories in this language are expressed with manual gestures.

To be recognized as a morphological affix, a sign should meet the following criteria:

1. A sign must be both delexicalized and grammaticalized, which means that lexical meaning is reduced;
2. A sign must be erosive, having changes in dynamics or when a two-handed sign becomes one-handed;
3. A sign must have a fixed position, which means being fixed before or after another sign;
4. A sign should have a clear morphosemantic meaning – adding this sign should add specific semantics to the word. (Makharoblidze 2019, 8)

Whether the DS (Destination Sign) in GESL is a morphological affix or not will be discussed according to the presented parameters.

### 3. Possessive-purpose destination semantics in spoken Georgian

Destination, as a morphosemantic category in spoken Georgian, appears in the case-system, conjugation, noun derivation and adpositions (Makharoblidze 90, 2005). In this article, destination is used in terms of possessive and/or purpose semantics, but not in its other meaning – location (for example, *he reached the destination*). Both nominal and verbal destinations exist in spoken Georgian. The nominal destination might be inflective, for example, in the semantics of specific cases (dative, genitive, adverbial), or in postposition –*tvis* (including its dialect variations). The nominal destination might also be derivational, expressed in the possessive-purpose destination system of spoken Georgian: the circumfixes *sa-e*, *sa-o*, *sa-et*, *sa-ur*, the suffix *-ad*, and others.

The sense of possessive-purpose destination semantics is much more salient when the *sa-e* or *sa-o* circumfix is used, while in the *sa-et* or *sa-ur* circumfixes, such semantics are reduced (Makharoblidze 90–91, 2005). For example,




*sa-axalc'l-o* (intended for the new year) has strictly more possessive-purpose destination semantics than *sa-ganz-ur-i* (treasure, treasure-house), which is derived from the circumfix *sa-ur*. Yet, all the circumfixes mentioned above add possessive-purpose destination semantics to the words, with some very small differences.

#### 4. Possessive-purpose destination semantics in GESL

Possessive-purpose destination semantics and its morphological expression are among the topics of GESL research. Possessive-purpose destination semantics found in spoken Georgian (discussed in the previous chapter) can be conveyed in GESL through various means. It is important to note that GESL does not replicate the lexical and grammatical models of spoken Georgian to convey possessive-purpose destination semantics. The sign 'destination' is often used to refer to the same semantics as the abovementioned circumfixes in spoken Georgian, this might also be concluded according to the "Georgian Sign Language Dictionary".

**Figure 3**

DESTINATION




(Makharoblidze 2015)

For example:

**Figure 4**

SAC'ERI intended for writing



WRITE

DS

(Makharoblidze 2015, 1005)

According to the “Georgian Sign Language Dictionary” (Makharoblidze 2015), the sign SAC'ERI contains two parts: ‘WRITE’ and DS – Destination marker (See Figure 4), when this sign is not considered as a composed one.

Is it possible to consider DS as an affix? Exactly which morphosemantic function(s) does it have? Answering these questions is important for a linguistic analysis of GESL.

The main source of lexical units for the research below is the “Georgian Sign Language Dictionary” (Makharoblidze 2015). DS is a part of numerous lexical units – 87 words (more than 2%) out of 4000 units presented in the dictionary.


## 5. Destination Sign (DS) in GESL

### 5.1 DS position

The position of DS will be discussed first. In the vast majority of cases (89 out of 91 lexical items analyzed), DS is found in the last position of the sign components, and is usually attached to the sign that has to acquire the possessive-purpose destination semantics. DS is found in the middle of the sign components only when those components form a composite form in which DS, as a morpheme, is in the last position of the first component of the composite, for example:

**Figure 5**

REDAKC'IA  
composite EDITORIAL OFFICE



WRITE                      DS  
                                  intended for writing

SEND  
to send

(Makharoblidze 2015, 924)

According to Figure 5, the word EDITORIAL OFFICE is a composite and consists of two signs: WRITE + DESTINATION (DS) and SEND. In this case, DS is a morpheme in the first part of the word, and for this reason, it is placed in the middle of a composite (EDITORIAL OFFICE) consisting of two words. It is obvious that this sign has a fixed place – it necessarily follows the word that has to acquire the possessive-purpose destination semantics.


## 5.2. DS Morphosemantics

The words produced by DS as an affix might be divided into the following groups:

A. Adjectives derived from nouns, for example: ‘sabrzolo’ (military), ‘azi-uri’ (Asian), ‘problemuri’ (problematic), ‘psikik’uri’ (psychic) and others (47% out of all the cases where DS is used).

**Figure 6**

SABRŽOLO  
MILITARY (adj.)




(Makharoblidze 2015, 947)

In Figure 6, the main sign WAR is followed by DS, and thus the possessive-purpose destination form MILITARY (*sabržolo*) is produced. In this case, it might be concluded that the adjective MILITARY is derived from the noun WAR.

**Figure 7**

MEDICAL



(Makharoblidze 2015, 947)


The same rule applies to other signs as well, for example: MEDICAL (*samedicino*). The main sign DOCTOR is followed by DS, and in that way, the adjective MEDICAL is produced (See Figure 7).

DS in GESL is rarely used in the way the suffix of spoken Georgian is. The

*-ur* suffix produces adjectives of origin or lookalike semantics, for example, *azi-ur-i* (Asian), *problem-ur-i* (problematic), *psikik'-ur-i* (psychic), etc. It is important to note that the *-ur* suffix is different from the *sa-ur* circumfix.

**Figure 8**

PROBLEMATIC



PROBLEM

DS


(Makharoblidze 2015, 901)

The first and the second pictures of Figure 8 show the sign PROBLEM, while the third shows DS. Together, they produce the word PROBLEMATIC. The same framework presents this group, which forms words with the mentioned content.

It is worth highlighting that affixes of origin are semantically close to the destination, for example, *polit'ik'uri* (political), which means connected to politics or intended for politics (See Figure 9). In spoken Georgian, this word is produced by the suffix of origin *-ur*.

**Figure 9**

POLITICAL



POLITICS

DS

(Makharoblidze 2015, 895)

B. Nouns derived from other nouns, for example: ‘*saagent’o*’ (*agency*), ‘*sak’onsulo*’ (*consulate*), ‘*gamanadgurebeli*’ (*fighter*), and others (41% of all cases where DS is used).

**Figure 10**

AGENCY



AGENT

DS

(Makharoblidze 2015, 944)

Figure 10 shows that the main sign AGENT followed by DS, meaning AGENCY is produced with possessive-purpose destination semantics.

**Figure 11**

CONSULATE



CONSUL


DS

(Makharoblidze 2015, 966)

Figure 11 shows that DS following the main sign CONSUL adds possessive-purpose destination semantics and produces a new lexical item CONSULATE – the office of a consul.

**Figure 12**

FIGHTER



EXPLODE

DS


(Makharoblidze 2015, 243)

As shown in Figure 12, adding DS to the sign EXPLODE forms a new sign FIGHTER (not in terms of profession, but in terms of *fighter aircraft, fighter aeroplane – something that has the purpose of exploding something*).

C. Nouns derived from adjectives, for example: ‘*silamaze*’ (*beauty*), ‘*sidide*’ (*largeness*), ‘*sivic’rove*’ (*narrowness*) and others (only 12% out of all the cases where DS is used). GESL is not unique in terms of producing abstract nouns from adjectives. This is similar to the spoken languages.

**Figure 13**

BEAUTY



BEAUTIFUL

DS

(Makharoblidze 2015, 1024)





**Figure 15**

Group	Number of lexical unit	Frequency
Adjectives derived from nouns	41	47%
Nouns derived from other nouns	36	41%
nouns derived from Adjectives	10	12%

The chart represents the frequency of use of DS in the GESL explanatory dictionary, not in real dialogue, which might be analyzed in future corpus research.

No difference was found in terms of sign dynamics (the phonological features of a sign) between the abovementioned three groups. The dynamics of DS are always the same, but according to the linguistic economy principle, sometimes, when the context makes the meaning obvious, the destination affix is fully removed. In some cases, the destination affix is mistakenly replaced by the sign VARIETY. Replacement like this is unexpected as these affixes do not share the same semantics.

### 5.3 Affix features of DS

The main literature for this is presented in Chapter 2 (“Affixes in sign languages”). This literature can help us to determine whether DS in GESL can be considered as an affix with derivational features or not. As mentioned above, DS is a possessive-purpose destination affix. This sign will retain its original lexical meaning in specific cases when it is used as an independent lexical unit.

Below, we review the affixation feature list developed by Meir (Meir 2012, 83) (for further information, see Chapter 2) and apply it to DS:

#### **A. An additional phonological item is added to the main sign.**

DS is added to the main sign as an additional phonological unit similar to the above-mentioned example - the suffix ERGATIVE was added to the main sign MAN. The cases mentioned above are similar to this. For example, Figure 10 shows that the main sign AGENT is followed by DS. Thus, DS perfectly meets the first parameter.

#### **B. Grammaticalization of suffixes, which means they were considered as lexical units before and now are delexicalized.**

DS also meets this parameter as it comes from the lexical unit DESTINATION. It is similar to other GESL suffixes, for example, an ergative marker that comes from the lexical unit sign HUMAN.

#### **C. Affixes in sign languages are characterized by derivational functions only.**

If DS is considered as an affix, it is the derivational one since it does not inflect, but changes the meaning of the word. Inflectional morphemes are found in GESL too (Makharoblidze 2012, 234–243).

**D. Normally, phonological features of the suffix are not motivated by any specifications.**

DS is not incompatible with this feature either, since the sign is not iconic.

**E. Affixation in sign languages is uncommon, as mentioned above.**

Discussion about the fifth feature will not be provided here since it is a feature for sign languages generally, not for a specific affix.

DS meets all the criteria presented by Meir. The sign can furthermore be considered according to other parameters (Makharoblidze 2019, 8):

- **A sign must be both delexicalized and grammaticalized, which means that lexical meaning is reduced.**

As already mentioned, DS is a delexicalized sign which comes from the lexical unit DESTINATION;

- **A sign must be erosive, which means having changes in dynamics or where a two-handed sign becomes one-handed.**

A tendency to erosion can be seen in the case of DS, although, the process of erosion is long-term;

- **A sign must have a fixed position, which means being fixed before or after another sign.**

DS meets this criterion too, as its place is fixed, and it always follows a basic sign. The position of DS has already been discussed above (Chapter 5.1.);

- **A sign should have a clear morphosemantic meaning - adding this sign should add a specific semantic to the word.**

DS has several morphosemantic meanings, of which the main one is adding a possessive-purpose destination semantic to the word (discussed above in Chapter 5.2).

## 6. Conclusion

According to the discussion in the chapter “Affix features of DS”, it can be concluded that DS fully or at least partially meets all the criteria necessary to consider it as an affix. The material of GESL is sufficient to consider the sign as a derivational affix and name it as a ‘Destination affix’ - DS. Its main morphosemantic function is to produce nouns or adjectives with possessive-purpose destination semantics. It is noteworthy that GESL is still actively developing as a young language, and time will show how the DS will develop in terms of morphosemantics, and how the processes of grammaticalization and sign-erosion will be continued.

## References

- Makharoblidze, Tamar. 2012. *Georgian Sign Language*. Tbilisi. მახარობლიძე, თამარ. 2012. ქართული უესტური ენა. თბილისი.
- Makharoblidze, Tamar. 2019. *GESL Verbal Morphology*. Tbilisi: Ilia State University Press. მახარობლიძე, თამარ. 2019. ქართული უესტური ენის ზმნის მორფოლოგია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Makharoblidze, Tamar. 2015. *Georgian Sign Language Dictionary*. Tbilisi: Ilia State University Press. მახარობლიძე, თამარ. 2015. ქართული უესტური ენის ლექსიკონი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Makharoblidze, Tamar. 2005. *Typology of Destination Systems (Georgian and Basque Data)*. Tbilisi: Nekeri. მახარობლიძე, თამარ. 2005. დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია (ქართული და ბასკური ენების მასალა). თბილისი: ნეკერი.
- Bybee, Joan. 2003. Cognitive Processes in Grammaticalization. In *Cognitive and Functional Approaches to Language Structure*. Vol. 2 of *The New Psychology of Language*, ed. Michael Tomasello, 145-167. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.
- Haspelmath, Martin. 2004. On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. In *Up and down the Cline 2: The Nature of Grammaticalization*, eds. Olga Fischer, Muriel Norde and Harry Perridon, 17-44. Amsterdam: Benjamins.
- Hopper, Paul. 1991. On Some Principles of Grammaticization. In *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*, eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine, 149-187. Amsterdam: Benjamins.
- Janzen, Terry. 2012. Lexicalization and Grammaticalization. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 816-841. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Meir, Irit. 2012. Word Classes and Word Formation. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 77-112. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Wilcox, Sherman. 2007. Routes from Gesture to Language. In *Verbal and Signed Languages: Comparing Structures, Constructs and Methodologies*, eds. Elena Pizzuto, Paola Pietrandrea and Raffaele Simone, 107-131. Berlin: Mouton de Gruyter.